ოლიმპიადა მშობლიურ ენაში
I ტური
მე-3 კლასი

I სავარჯიშო: მარცვალი, დამარცვლა და გადატანა. (10 ქულა)

1.რამდენი მარცვალია სიტყვაში?

ა) ერთი, ორი, სამი და ა.შ. ბ) რამდენი ხმოვანიც არის გ) რამდენი თანხმოვანიც არის

2. რომელია ერთმარცვლიანი სიტყვა?

ა) ტყე ბ) ხმალი გ) რაინდი

3. რამდენი მარცვალია ხაზგასმულ სიტყვაში:

„ სხვა <u>საქართველო</u> სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ა) ათი ბ) ოთხი გ) ორი

4. რომელია სწორად დამარცვლილი სიტყვა?

ა) მხ-ნე ბ) ან-და-მა-ტი გ) მო- მღ-ერა-ლი

5. რომელია ღია მარცვალი?

ა) მთა ბ) ზეგ გ) დგას

II სავარჯიშო: არსებითი სახელი, საკუთარი სახელები. (10 ქულა)

6. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რამდენს დაესმის კითხვა რა?

სამყარო, დავითი, ბელურა, სავარძელი.

ა) ორ სიტყვას ბ) სამ სიტყვას გ) ოთხ სიტყვას

7. რამდენი საკუთარი სახელია ტექსტში?

„სწავლა დაიწყო. თომა და თეკლე სკოლისაკენ გაეშურნენ. ბედნიერებისგან ყველა იღიმებოდა.“

ა) ორი ბ) ხუთი გ) ექვსი

8. შემოხაზეთ ანბანის რიგზე დალაგებული საკუთარი სახელები.

ა) სესილი, ირაკლი, სალომე ბ) თამარი, დავითი, თემური

გ) ანზორი, ბადრი, გიორგი

9. რამდენი არსებითი სახელია გადაბმულ წინადადებაში?

„ზურაბსუყვარსნამცხვარიმაგრამდედისგამომცხვარიტორტიგანსაკუთრებულია.“

ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი

10. რამდენი სულიერი სახელია მოცემულ ტექსტში?

„ ბულბული და ტოროლა ტყეში დიდხანს დაეხეტებოდნენ.“

ა) ერთი ბ) ორი გ) სამი

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებებს!

III სავარჯიშო: მოქმედების გამომხატველი სიტყვები და მათი დრო. (20 ქულა)

11. რომელია მოქმედების გამომხატველი სიტყვა წინადადებაში:

„ერთხელ პატარა წიწილამ ეზოში გასეირნება გადაწყვიტა.“

ა) პატარა ბ) გადაწყვიტა გ) ერთხელ

12. ჩასვით შესაბამისი მოქმედების სიტყვა წინადადებაში:

„ დათასა და გიოს ..... პატარა ლეკვები.“

ა) ჰყავს ბ) აქვთ გ) ჰყავთ

13. ჩასვით შესაბამისი მოქმედების სიტყვა წინადადებაში:

„მე დილით ადრე მამასთან ერთად .....“

ა) ვვარჯიშობ ბ) ვარჯიშობ გ) ვარჯიშობთ

14. როდის ხდება მოქმედება წინადადებაში?

„ქარმა დაქროლა ძლიერმა და ჩამოყარა ფოთლები.“

ა) ახლა ბ) წარსულში გ) მომავალში

15. როდის ხდება მოქმედება წინადადებაში?

„ქვევრში მაჭარი ბუყბუყებს.“

ა) ახლა ბ) წარსულში გ) მომავალში

IV სავარჯიშო: მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები. (20 ქულა)

16. როგორი სიტყვებია ,,ძლიერი'' და ,,ღონიერი'' ?

ა) საპირისპირო მნიშვნელობის ბ) მსგავსი მნიშვნელობის გ) მსგავსი ბგერითი შედგენილობის

17. საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებია:

ა) კეთილი და ბოროტი ბ) დაღლილი და დაქანცული გ) ბებია და დიდედა

18. რომელია ხაზგასმული სიტყვის მსგავსი მნიშვლობის სიტყვა?

,,იზრუნო <u>მამულისთვის,</u> შენი მუდმივი ვალია''!

ა) სახელისთვის ბ) ღირსებისთვის გ) სამშობლოსთვის

19. რომელია ხაზგასმული სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა?

,,<u>ლამაზმა</u> დედოფალმა ყველა მოაჯადოვა''!

ა) მახინჯმა ბ) კეთილმა გ) ბოროტმა

20. როგორი სიტყვებია ,,ბევრი'' და ,,მრავალი''?

ა) მსგავსი მნიშვნელობის ბ) მსგავსი ბგერითი შედგენილობის გ) საპირისპირო მნიშვნელობის

V სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. (40 ქულა)

ნაცარქექია

(ნაწყვეტი)

„დევმა ნაცარქექია შინ მიიწვია. შემოდგა ცეცხლზე კეცი, დააკრა პური და სანადიროდ წავიდა. პურს ერთი გვერდი რომ გამოუცხვა, ნაცარქექიამ გადმობრუნება მოუნდომა, მაგრამ კეცი გადმოვარდა და ნაცარქექია ქვეშ მოიყოლა. დაბრუნდა დევი და რას ხედავს: მისი სტუმარი კეცს მოუყოლებია ქვეშ.

- მუცელი ამტკივდა და ცხელი კეცი დავიდე. ახლა ტკივილმა გადამიარა, ამაცალეო! - შესძახა ნაცარქექიამ. დევმა კეცი ააცალა და ცეცხლზე შემოდგა. მალე პურიც გამოცხვა. დევმა ხორცი მოხარშა და დასხდნენ სავახშმოდ. უცებ დევმა დააცემინა და ქარმა ნაცარქექია ჭერში ააგდო. აიხედა დევმა და დაინახა, ნაცარქექია თავხეს ებღაუჭება.

- როგორ გაბედე ჩემთან დაცემინება!- ამ წკეპლას გამოვაძრობ და სულს გაგაფრთხობინებო, - ჩამოსძახა ნაცარქექიამ.“

21. როგორი პერსონაჟია დევი?

ა) გამოგონილი ბ) ნამდვილი გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

22. რა არის კეცი?

ა) რკინისგან დამზადებული მრგვალი ფორმის ჭურჭელი

ბ) თიხისგან დამზადებული მრგვალი ფორმის ჭურჭელი

გ) მინისგან დამზადებული მრგვალი ფორმის ჭურჭელი

23. როდის ვახშმობენ ?

ა) დილას ბ) შუადღეს გ) საღამოს

24. რა არის თავხე?

ა) სახლის ჭერზე გადებული ბოძი ბ) სახლის იატაკზე დადებული ბოძი

გ) სახლის ეზოში დადგმული ბოძი

25. ნაცარქექიას რა თვისება ჩანს მისივე პასუხიდან: ,,მუცელი ამტკივდა და ცხელი კეცი დავიდე".

ა) ბოროტება ბ) მოხერხებულობა გ) უგუნურება

26. ნაცარქექიას რა თვისება ჩანს მისი სიტყვებიდან: ,,როგორ გაბედე ჩემთან დაცემინება?!"?

ა) გაბედულება ბ) სტუმართმოყვარეობა გ) უსუსურობა

27. რა ჟანრის ნაწარმოებია ,,ნაცარქექია?"

ა) ლექსი ბ) მოთხრობა გ) ზღაპარი

28. როგორი სიტყვაა: ნაცარქექია?

ა) მარტივი ბ) რთული გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

29. როგორ გესმით მხატვრული გამონათქვამი: „სულს გაგაფრთხობინებ"?

ა) გაპატიებ ბ) მოგკლავ გ) გცემ

30. რა იწყება სიტყვებით: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა"?

ა) ლექსი ბ) იგავ-არაკი გ) ზღაპარი

100 ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 4 ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

ბონუს სავარჯიშო: (20 ქულა)

ბონუს შეკითხვა ავერსისგან

31. ჩასვით გამოტოვებული კავშირი: "ხარისხიანი პროდუქცია ….. მომსახურება ავერსის ძირითადი ღირებულებებია."

ა. თუმცა ბ. და გ. მიუხედავად ამისა

32. შემოდგომის თვეებია:

ა) სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი ბ) ნოემბერი, დეკემბერი, თებერვალი

გ) ნოემბერი, მარტი, თებერვალი

33. რას ნიშნავს მხატვრული გამონათქვამი: „არაქათი გამოელია"?

ა) სასმელი გამოელია ბ) დაიღალა გ) გაბრაზდა

34. როგორი ამბავია გადმოცემული ზღაპარში?

ა) ნამდვილი ამბავი ბ) გამოგონილი ამბავი გ) მწერლების ცხოვრების ამსახველი ამბავი

35. დაასრულეთ ანდაზა: „თხა თხაზე ნაკლები ....."

ა) მგელმა შეჭამაო ბ) ძაღლმა შეჭამაო გ) ვირმა შეჭამაო